



ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

ბერ-ძირიანი გვარსახელები აჭარაში

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, გორი, საქართველო,
გორი ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
+995577251275, maikoberidze@gmail.com ,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი

გვარსახელების შესწავლა მჭიდრო კავშირშია ქართველი ერის ისტორიულ, ენათმეცნიერულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან.

წინამდებარე სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს, აჭარაში გავრცელებული ბერ-ძირიანი გვარსახელების გამოვლენა, აფიქსების საშუალებით პირსახელებიდან გვარების წარმოების, მათი სტრუქტურის, სემანტიკისა და ეტიმოლოგიის შესწავლა.

კვლევა ემყარება ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტებს, ლექსიკონებს, დიალექტურ მონაცემებს, ისტორიულ - ეთნოგრაფიულ დოკუმენტებსა და სამეცნიერო ლიტერატურის დიაქრონიულ ანალიზს.

საანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბერი ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია, მისგან საწარმოო საშუალებებითა და კომპოზიციური სიტყვათშეერთებით აჭარულში მიღებულია მრავალრიცხოვანი საზოგადო და საკუთარი სახელები, საინტერესოა, ბერ-ძირის სემანტიკური მრავალფეროვნება და ადგილის, ციხის, პირსახელებისა და გვარსახელების

წარმოების მოდელი. ბერ- ძირი საზოგადო სახელებში ხშირად დღევანდელი გაგებით ასაკის, მოხუცებულობის, ხნოვანობის გამომხატველია, ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელებში უმეტეს შემთხვევაში ბერ-ი გამოხატავს ბერ-მონაზვნის, საეკლესიო პირის სემანტიკას (ბერთა, ბერიეთი ..), თუმცა სახნავ-სათესი ადგილის სახელწოდებებში (ბერიმიწები, ბერიყანა, ბერი კიტრი ...) სიბერის, ხნოვანობის გამომხატველი უნდა იყოს.

ბერ- ელემენტური გვარების სემანტიკური და ფონეტიკური ცვალებადობა გვიმტკიცებს, რომ ბერი თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა. საზოგადო სახელიდან აფიქსაციის გარეშე ან აფიქსების საშუალებით საზოგადო სახელი გადაიქცა პირსახელად ან პირსახელი ერთი ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან გვარსახელში გადავიდა (ბერიძე, ბერსენაძე, ბერსელაძე (ბერსელი), ბერული, ბერიშვილი, კახაბერიძე, გულაბერიძე, დოლაბერიძე, ჯოხთაბერიძე, ჯანბერიძე, ლოლობერიძე ...). საკუთარი სახელის მამრობითი სქესის, ძის, შვილის ჩვენება განსაზღვრავს გვარსახელებში დადასტურებული ბერ-ძირის სემანტიკას. ამგვარი ტენდენცია საერთო ქართველური ენობრივი მოვლენაა და დღესაც შეინიშნება ქართული ენის დიალექტებში.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია ქართველური ლექსიკოლოგიის, ონომასტიკის და, საერთოდ, გვარსახელებთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების დიაქრონიული ანალიზისათვის.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა; აჭარა; ბერი; ლექსიკა; სემანტიკა; გვარსახელი; სტრუქტურა; წარმოება.

შესავალი

გვარსახელების ენობრივი ანალიზი, მათი ფონეტიკური ცვლილებების გარკვევა, ფუძისა და მაწარმოებლის გამოყოფა ენათმეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთი საინტერესო და მნი-

შენელოვანი ობიექტია. გვარების წარმოშობის კონკრეტული პერიოდისა და ლოკალიზაციის გარკვევა პრობლემურია და დიდი სიფთხილით შესწავლას გულისხმობს. ბერ-ძირიანი გვარსახელების წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ქართველი ერის ისტორიასთან და ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაცხოვრებასთან. ამ ტიპის გვარების ცალკეული კუთხეების მიხედვით აღნუსხვა, თითოეული მათგანის ისტორიისა და მიგრაციის დასადგენად საჭირო მასალების მოძიება აუცილებელია.

საკითხის კვლევა მჭიდროდ უკავშირდება აჭარის წარსულსა და დღევანდელობას, ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ძველი და თანამედროვე ქართული ენის ტექსტების, ლექსიკონების, დიალექტურ-ეთნოგრაფიული მონაცემების, ისტორიული დოკუმენტებისა და ფიქსირებული უახლესი მასალების დინამიკაში შესწავლა (აბულაძე, 1973; ერიაშვილი, 1987; ორბელიანი, 1991; სიხარულიძე, 1958; თოფჩიშვილი, 2000; ცეცხლაძე 2000; გოგიტიძე, 2002; აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011; კახიძე, 2013; ჯიქია, 2013; ბარამიძე, 2021; კობერიძე, 2023 ბ...).

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია დაკვირვების, აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, რაოდენობითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები. მოძიებული მასალები ჯერ დავყავით ცალკეულ ნაწილებად, აღვწერეთ, შემდეგ ერთმანეთს შევუდარეთ ძველი და თანამედროვე ტექსტებში, დიალექტურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულის- ბერი-ს სემანტიკა, ქრონოლოგიურად შევისწავლეთ გვართა წარმოება ბერძირისაგან და ისტორიული დოკუმენტები, სადაც დასტურდება ჩვენთვის საინტერესო გვარსახელები, თამედროვეობასთა კავშირში შევისწავლეთ ბერ-ძირიანი გვარსახელების გავრცელების არეალი და უახლესი ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

შედეგები

სამეცნიერო ნაშრომში გამოკვლეულია აჭარაში გავრცელებული ბერ-ძირიანი გვარსახელები; ქრონოლოგიურად გაანალ-

იზებულება ისტორიულ დოკუმენტებში, ეთნოგრაფიულ და ენათმეცნიერულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებული ემპირიული მასალები; გამოვლენილია ბერ-ძირიანი გვარების წარმოების მოდელი და გავრცელების არეალი; დაზუსტებულია და შესწავლილია აფიქსების საშუალებით პირსახელებიდან გვარების წარმოება, მათი სტრუქტურა, სემანტიკა და ეტიმოლოგია.

მსჯელობა

ბერი პოლისემანტიკური სიტყვაა. ქართულში გვხვდება მასთან დაკავშირებული ტერმინები და განმარტებები. ილია აბულაძე ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაყრდნობით იძლევა ბერ-ი სიტყვის განმარტებას - მოხუცებული, მონაზონი: ბერობა, დაბერება, დედაბერი, დედაბერებრი, სიბერე, უბერესი. ბერვა „შებერვა“, ჩაბერვა: დაბერვა, მიბერვა, შებერვა, ბერვა... (აბულაძე, 1973: 131, 139).

ბერი - ხანში შესული - ხანმრავალი კაცი. ბებერი, ბერობა, დააბერა, დედაბერი, კაცი, ჰევის-ბერი (ორბელიანი, 1991: 102).

ბერ-ი (ბერისა): 1. ბებერი, მოხუცებული, დიდი ხნის (აღამიანი)// საერთოდ, დიდი ხნისა, ბებერი (რამ); 2. საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღქმა აქვს დადებული//ბერად აღიკვეცება, ბერად აღკვეცილი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2008: 996).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ბერი თავდაპირველად აღნიშნავდა ჩვილს (Mapp, 1935: 351-355; სურგულაძე, 1989: 40,41).

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, „ჰასაკი სამ უმთავრეს წლოვანებას შეიცავდა, რომელთაც ეძახდნენ ხოლმე „ჭაბუკს“, „შუა კაცს“ და „ბერს“. ბერი ვაჟიშვილის აღმნიშვნელი საერთო ქართველური სიტყვაა (ჯავახიშვილი, 1928: 366; ჯავახიშვილი 1937: 186).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საზოგადოებრივ - საკულტო ნაგებობას (ხევისბერთა სამყოფელს) განეკუთვნებოდა **დარბაზი ანუ საბერო** (ერიაშვილი, 1987: 124).

მთაში გავრცელებული იყო უფროსი ვაჟის **ბერად დაყენება//ბერად შედგომა** (ლუდუშაური, 2011: 5). დღეობაზე ბავშვის **ბერად შეყენების** წესი გვიანობამდე იყო დაცული (ბიწაძე 2015: 139-140). „ბერად შეყენება“ იცოდნენ 10-13 წლის ბავშვისაც და დიდი ვაჟკაცისაც (ბარდაველიძე 1947, 5-65; ანთელავა, 2017: 163).

ვაჟის ბერად დაყენების წესი დასტურდება ქართლსა და კახეთშიც. ფრონის ხეობაში უშვილო ცოლ-ქმარი ან ოჯახი, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, დირბის ღვთისმშობლის ტაძრის ხატს შეუთქვამდა ნანატრი შვილის „ბერად დაყენებას“ (კობერიძე, 2023 ბ: 252-260). პარალელი შეიძლება გავავლოთ, აჭარაში გავრცელებულ შვილიანობასთან დაკავშირებულ საინტერესო ტრადიციასთან. ქალს რომ შვილი შერჩენოდა, გაზრდოდა, ახალდაბადებულ ბავშვს პირობით გააშვილებდნენ. მშვილებელი ბავშვს „იყიდდა“ - განსაზღვრულ თანხას გადაიხდიდა. ბავშვის დედად შერჩეული „ბაღანადაუკლებელი“- მრავალშვილიანი ბედნიერი ქალი ბავშვს უბეში ამეიძვრენდა, ამეივლებდა“ (ნოღაიდელი, 2007: 3-40).

მოხეურ სალოცავში ვაჟის ბერად დაყენება, საეკლესიო - სადღესასწაულო პრაქტიკაში უსისხლო მსხვერპლის შეწირვაა (მაკალათია, 1934: 244). მთაში მიცვალებულის ნათესავი მამაკაცები წვერსა და თმას იყენებდნენ წლამდე. ამიტომ ხალხი მათ „წლის ბერებს“ უწოდებდნენ (ხახანაშვილი, 1988: 2-3; კობერიძე, 2023 ა: 287).

დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერი თავდაპირველი მნიშვნელობით ასაკით უფროსი მამაკაცი სახელი (და არა მოხუცის) უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგში უნდა განვითარებულიყო უფლებრივად უფროსის მნიშვნელობა.

ტერმინი ბერი ფიქსირდება ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებშიც, რომლის მიხედვითაც ბერი ძველი ჩვეულებით ხატისათვის შეთქმული ბავშვია, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში თმას არ შეუკრეჭდნენ. ამავე ლექსიკონში

დასტურდება ტერმინი - ბერზვარა, რომელსაც ძველი ჩვეულებით, ხატისათვის შეთქმულ საკლავს უწოდებდნენ (მესხიშვილი 2006, 75, 76). ხატისათვის შეთქმული იყო მხოლოდ ვაჟი.

ბერ-ისაგან სიტყვაწარმოებით (ძირი+ აფიქსი) მიღებულია ბერობა: 1. სიბერე, მოხუცებულობა; 2. ბერად ყოფნა, ბერმონაზვნობა; 3. ბერების კრებული (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2008: 996). ბერობა ←ბერ+ობა. -ობა განყენებულ სახელთა მაწარმოებელია. ამავე დროს კრებითობას გამოხატავს. დაბერება (საწყისი← დაბერდება ზმნა); სიბერე (← სი-ბერ-ე. სი-ე განყენებული სახელის მაწარმოებელი ფიქსი). ძველ ქართულში დასტურდება უბერესი -- მეტად ბერი (აბულაძე, 1973: 31, 388, 417). უ-ბერ-ეს-ი. უ-ეს უფროობითი ხარისხის მაწარმოებელია.

ბერი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია საზოგადო სახელებში: დედაბერი (←დედა+ ბერ-ი)- ხანშიშესული ქალი; დედაბერებრი (←დედა+ბერ+ ებრი)- დედაბერის მსგავსი; ბებერი (←ბერ-ბერი. კომპოზიტი მიღებულია ძირის გაორკვევით, რ-ბგერის დაკარგვით)-ხანშიშესული, ასაკოვანი ადამიანი.

აჭარულში დასტურდება დედულეთის ფარდი ლექსიკური ერთეული- ბებრეუთი/ ბებრევთი - „შვილიშვილისათვის დედის სამშობლო ბებრეუთია“. აღნიშნული სიტყვა არაა ფიქსირებული ქართული ენის სხვა რომელიმე დიალექტში. ვარაუდობენ, რომ ბებრევთის/ბებრეუთის საწარმოებელი ფუძე ბებერა (საბა, მესხურ-ჯავახური) უფროა, ვიდრე ახალი სალიტერატურო ქართულისათვის ცნობილი ბებერი. მესხურ- ჯავახურის მსგავსად, ზემოაჭარულში ბებრის, მოხუცებული ქალის აღსანიშნავად იხმარებოდა სახელი ბებერა, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი ამ გაგებით დაიკარგა და მისგან ნაწარმოები სიტყვა ბებრევთი/ ბებრეუთი შვილიშვილისათვის დედულეთის, გათხოვილი ქალიშვილისათვის კი მშობლიური კუთხის „სამშობლოს“ აღმნიშვნელად შემოგვრჩა (ნოღაიდელი, 2013: 35, 36, 96).

გასათვალისწინებელია ვარაუდი ბებრევთი/ბებრეუთი სიტყვის საწარმოებელი ფუძის- ბებერას შესახებ. ქართულში დასტურდება ბებერა (←ბერ-ბერ+ა) - 1. დამწვრობის, დაზიანების

შედეგად ამობერილი, წყალჩამდგარი კანი. 2. ობობა, ბოსტანა ჭია (ბეროზაშვილი, 1981: 59). სიტყვა მიღებული უნდა იყოს ბერ- ფუძის გაორკეცებით: ბებერა (←ბერ-ბერ+ა). რ-ს ჩავდებით. -ა ქონების მაწარმოებელი აფიქსი უნდა იყოს.

შინაბერა (შინა+ბერ+ა)- გაუთხოვარი ქალი; ბერბიჭა (ბერ+ ბიჭ+ა. -ა კნინობითობის მაწარმოებელი) - დაუქორწინებელი მამაკაცი; ბერიკაცი (←ბერი+ კაცი) - მოხუცებული მამაკაცი. ბერიქალი (←ბერი+ ქალი) - მოხუცებული ქალი; ხევისბერი (←ხევის+ ბერი)- უფროსი მამაკაცი...

ბერი კიტრი - გადამწიფებული სათესლე კიტრი. „სათესლე ბერ კიტრს, საბეროს უწოდებენ“ (ნოლაიდელი, 2013:96). სა-ბერ-ო.

ბერ- ძირი გვხვდება სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს კომპოზიციური წარმოების ტოპონიმებში: ბერგუძოლი, ბერიტყე, ბერქეთი, ბერინასხლევი, ბერიყანა, ბერიტყე, ბერიჭალა, ბერიწყარო, ბერკალო, ბერიახო, ბერისარჩობი (სიხარულიძე, 1958: 56, 59, 73, 77, 86, 113, 109, 126, 135).

ბერ - ძირი დასტურდება შავშეთ-იმერხევის ადგილის სახელწოდებებში: ბერიახო (სათიბი), ბერიეთი (სოფლის უბანი) - ჩიხორი; ბერის ახო (სათესი)-ველი; ბერული (ტყე)- დაბაწვრილი; ბერქედა (სათიბი) -წყალსმიერი; ბერჯუეთი (სათესი) დაბაწვრილი (ცეცხლაძე, 2000: 166); ბერთისწყალი (სიხარულიძე, 1988: 11, 23).

ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს სოფელი ბრეთი, რომელიც მიღებული უნდა იყოს ბერი-ეთ-ისაგან.

ნიგალის ხეობაში დასტურდება ტოპონიმები: ბებერათი, ბერთას ხევი, ბერძნევი, ბერულიყანა (ბერიძე, 2009:110; 13,14, 22,28, 109).

ჩამოთვლილ ტოპონიმებში ბერ-ს პირველი ადგილი უკავია.

ბერთა - ტამარი ისტორიულ ტაო-კლარჯეთში (IX საუკუნე). ამ სავანის მოღვაწე იყო ზეკეპე ბერეთელი (ბერთელი) (X

საუკუნე) (მენაბდე, 1962: 47). ბერთა სოფელია წალკის რაიონში. ბერთა←ბერ-თ-ა. სახელი ნაწარმოებია თანიანი მრავლობითის მაწარმოებლით. ქარელის მუნიციპალიტეტში, ძამას ხეობაში მდებარეობს სოფელი ბერთუბანი (ბერ-თ+ უბანი). დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ტაძარია ბერთუბნის ღვთისმშობლის ტაძარი (XII საუკუნე) (დვალი, 2019: 231-233).

კახაბერი - სოფელი აჭარაში. ადრე იგი ბათუმსა და ერგეს შორის მოქცეული დაბლობის აღმნიშვნელიც იყო. ი. სიხარულიძის აზრით, ამ გეოგრაფიული სახელის გაჩენა XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე კახაბერს უნდა უკავშირდებოდეს (სიხარულიძე, კახაბერი, 1992). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, კახაბერი ქართველთა ჯარის მეთაური იყო ბათუმის 1519 წლის ბრძოლაში და გამარჯვებაც მოუპოვებია (ჭიჭინაძე, 1927: 7). ეს კახაბერი სვანეთის ერისთავთა - ერისთავი გვარად ვარდანძე ყოფილა (ბროსე, 1998: 302; გოგიტიძე, 2002: 102).

თხზული ანუ კომპოზიტიური სახელები, რომლის ფუძეშიც ორი საკუთარი სახელია. მაგ.: კახაბერი, ჭიაბერი, ჯანიბერი, ყურაბერი, შალაბერი, კაკუბერი, დოლაბერი, თავბერი, კილაბერი, ლოსაბერი, მიქაბერი, სულაბერი, შიობერი, ჯოხთაბერი, გაგიბერი, გიორგიბერი, გულაბერი, იაბერი, მაღალაბერი..... ბერს კომპოზიტებში მეორე ადგილი უჭირავს. ასეთი პირსახელები დღეს აღარ გვხვდება. ჭიაბერი და კახაბერი ისტორიულ პირთა სახელებია.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ დროთა განმავლობაში ბერის მნიშვნელობა შესუსტდა და იგი შეეზარდა ბერის განსაზღვრულ სახელებს, შეიქმნა მამაკაცის ახალი რთულფუძიანი საკუთარი სახელები: კახაბერი, მიქაბერი, ცხადაბერი, თავაბერი... ამ ტიპის ზოგიერთი სახელი - თუთაბერი, კაკუბერი, ჟამთაბერი, გოგიბერი, კახაბერი დამოუკიდებელ გვარებად გვევლინება.

ი. მაისურაძე მართებულად აღნიშნავს, რომ რთულფუძიან გვარებში ბერ- ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა. რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ გოგიბერი, კახაბერი და მისთ. საკუთარ სახელთა წყვილიულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ (გოგი და ბერი, მიქა და ბერი), არამედ აქ მხოლოდ პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი (მიქა, გოგი), ხოლო ბერი-ი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა (ვაჟი, ბიჭი, ყრმა) (მაისურაძე 1965: 237, 241) აღნიშნული თვალსაზრისით, ბერი აქ ვაჟის, მამაკაცის მნიშვნელობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. იგივე შეიძლება ვთქვათ სხვა რთულფუძიან გვარებზე, რომელიც გამოავლენს რთულფუძიან პირსახელებს.

ისტორიულ დოკუმენტებში დასტურდება ბერეთელნი: ბერი იმერეთის მეფის გიორგი მესამის უმცროსი ვაჟი; ბერი ეგნატაშვილი, ბერი ერუშნელი, ბერი მღვმელი (მწერალი). ბერსაზე (ბიბლიური დავითის პირველი ცოლი) (ქართლის ცხოვრება, 1959: 177, 326, 365, 415, 522).

„ტბეთის სულთა მატინაეში“ დასტურდება გვარი კახაბერისძე (კახიძე, 2013: 31-32). გვარი გვარაუდებინებს პირსახელს -კახაბერი. ბერის გარეშე გვაქვს გვარი კახაძე, კახიძე.

ზ. ჭიჭინაძის ჩანაწერებში გვხვდება სოფელი **დედა-ბერა**. დღეს ამ სოფელს სტეფანოვკა ჰქვია (ჭიჭინაძე, 2013: 129). ამჟამად სტეფანოვკა ბათუმის ერთ-ერთი უბანი. ამავე ჩანაწერებში ბერი მოხუცი კაცის მნიშვნელობით დასტურდება (ჭიჭინაძე, 2013:199).

„ბერი“ საზოგადო სახელის ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან აფიქსების საშუალებით საკუთარ სახელში გადანაცვლებით ნაწარმოებია პირსახელები და გვარსახელები.

ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელთაგან წარმოქმნილა გვარი (ჭუმბურიძე, 1987:319).

აჭარის ლივის ვრცელ და მოკლე დავთრებში მოცემულია აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დოკუმენტებში დასტურდება ბერ-ძირიანი პირსახელები და გვარსახელები: დავბანაზა ბერუკი (სოფელი ბოღაური), მამისა ბერული; თავბერი ძე მისი (სოფელი ქვედა კურმა), ბართაია ძმა მისი; შაქარა ბერული (სოფელი ნიგაზეული), ლულუჯა ბერუკი (სოფელი თავო), მეჰმედ ბერული (სოფელი ჩაო) (აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011: 65, 69, 74).

აღნიშნულ საილუსტრაციო მაგალითებში დადასტურებული ბერული, ბერუკი, თავბერი ... გვარსახელებია თუ პირსახელები?

აჭარის ლივის ვრცელ და მოკლე დავთრებში და სხვა სახის ოსმალურ „დავთრებში“ მოცემული მასალის მიხედვით ძალიან რთულია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ როგორი იყო ქართული ანთროპონიმული მოდელი იმდროინდელ ზემო აჭარაში. „დავთრებში“ არ ჩანს, თუ როგორი ანთროპონიმული მოდელი დახვდათ ოსმალებს აღწერის დაწყებამდე ადგილზე. ამიტომ მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათში გვარსახელები არ არის დაფიქსირებული, მათში მოცემულია სახელები და მამის სახელები (ბარამიძე, 2021:46).

ოსმალთა აღმწერები (დევეთერდარები) აღწერის დროს ქართული გვარების მნიშვნელობებს ვერ ხვდებოდნენ, „ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ არც აღნიშნავდნენ. ისინი ზოგჯერ გვარს მამის სახელად აფიქსირებდნენ. ამიტომ აღმოჩნდა დავთარში ოსმალთა დევთერდარის მიერ პირის სახელად აღქმული გვარები: ბერიძე, დემეტრაძე, ვარდიძე, კავსაძე, ცირეკიძე, ჯუნბაძე, ჯეველიძე, ჯუჯულაძე“ (ჯიქია, 2013: 66; ბარამიძე, 2021: 46).

ქართულ საისტორიო საბუთებში გვარსახელი ყოველთვის ფიქსირდებოდა სახელთან და მამის სახელთან ერთად, „ვისაც როგორ მოესურვებოდა, ისე წერდა. ხან მამის სახელი იყო პირველ ადგილზე, ხან გვარსახელი, ხანაც სახელი“ (თოფჩიშვილი, 2000: 178).

როგორც ანალიზიდან ჩანს, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ ქართულ სამწევრიან (სახელი+ მამის-სახელი+ გვარი), თუ ორწევრიან (სახელი+ გვარი) ანთროპონიმულ მოდელებში ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის პერიოდშიც და დაპყრობამდე რამდენიმე საუკუნის წინ გვარსახელები უდავოდ ფიგურირებს.

ვგიქრობთ, აჭარის ლივის ვრცელ და მოკლე დავთრებში დადასტურებული „ბერული“, „ბართაია“, „ბერუკი“, „თავბერი“ შემოკლებული გვარებს უნდა წარმოადგენდეს ბერულაშვილი, ბართაძე, ბერუკაშვილი, თავბერიძე...

„ტბეთის სულთა მატიანეში“ დასტურდება: გოგაბერული მარიამი, ბერასძე ქუთნი, გოგაბერეთ მიქელი, გოგაბერისძე იოვანე, გოგაბერული მარიამი, წითელბერისძე იოვანე (ტბეთის სულთა მატიანე, 1977: 19, 20, 37, 39, 80, 323).

ძეგლისეულ გვარებში ულ და ურ მაწარმოებლით ნაწარმოებია მხოლოდ ქალის გვარები და სახელები. ეს გვარები მიღებულია მამაკაცის სახელებიდან ან გვარებიდან. ხშირად მამაკაცის ერთი და იგივე სახელიდან იწარმოება მამაკაცის გვარიც -ძე ან ეთ-ის საშუალებით და ქალის გვარიც -ურ, ულ და ფხე მაწარმოებლით (ტბეთის სულთა მატიანე, 1977: 40).

ნ. კახიძე საგანგებოდ ამახვილებს „ტბეთის სულთა მატიანეში“ დადასტურებულ გვარებზე - ბერასძე, ბერერისძე, კახაბერისძე. იმ გვარებს შორის, რომლებმაც უცვლელი სახით მოაღწია დღეს ასახელებს კახაბერისძეს (კახიძე, 1974: 10-12).

გვარ-სახელების შესწავლის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გვარის გაჩენის, საყოველთაო ხმარების შემოსვლის დროის გარკვევა. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გვარი VI საუკუნეში გაჩნდა. უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გვარების უმრავლესობა დაახლოებით XIV- XV საუკუნეებიდან მომდინარეობს, თუმცა ისიც მეტად საგულისხმოა, რომ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის (რომელიც საგანგებოდ ეხება გვარების საკითხს) მიერ ძველ ქართველ მთავართა

დასახელებული გვარები VI - XV საუკუნის ფარგლებში თავსდებიან მეტად საყურადღებო ასევე ოსმალეთის ხელისუფლების მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ 1595 წელს მოსახლეობის დაბეგვრის მიზნით საყოველთაო აღწერის მასალები (სილაგაძე, თოთაძე, 1997: 11).

ამავე დოკუმენტში დასახელებულია ბერიძე (ხელვაჩაური, ქობულეთი), ბერსელაძე (ჩოხატაური, ქობულეთი, ოზურგეთი), ბერსენაძე (ოზურგეთი, თბილისი, ბათუმი), გულაბერიძე (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური)(სილაგაძე, თოთაძე, 1997: 42, 67).

თ. სახოკიას მიერ დასახელებულ გვარებს შორის გვხვდება ბერ- ძირისაგან ნაწარმოები გვარებიც: ბერიძე და კახაბერიძე (სახოკია, 1985: 146, 209, 212).

ზ. ჭიჭინაძე ქვემო და ზემო აჭარაში (ზეგანში) ჩამოთვლის სამოცდათხუთმეტ გვარსახელს, მათ შორის დასახელებულია ბერიძეც (ჭიჭინაძე, 1913: 67).

ბერიძეებისათვის ოსმალთა ბატონობის პერიოდში შეურქმევიათ ხაბამოღლი, ქოროღლი, ჰაიდაროღლი, ოგოროღლი, ჰაჯიოღლი, ნიგაზეველოღლი ... (ზარამიძე, 2021: 122). ეს ფაქტი მიუთითებს იმას, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა ერთი გვარიდან შტოგვარების გამოყოფას (თოფჩიშვილი, 2010: 260).

ოსმალეთის იმპერიის ბატონობის დროს განადგურებული წერილობითი დოკუმენტები ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ბერიძეთა გვარის გენეალოგიის შესასწავლად. ზეპირი გადმოცემით ბერიძეებს, განსაკუთრებით ქვემო აჭარის ბერიძეებს იხსნიებდნენ ბეგებად (წოდება თავადაზნაურთა ანალოგი იყო). აჭარაში ბერიძეთა არსებობას ადასტურებს დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღმოჩენილი საბუთები. მისი მტკიცებით, ეს საბუთი აჭარაში გავრცელებამდეა შედგენილი, სავარაუდოდ XV საუკუნის მეორე ნახევარში. ეს საბუთი ცნობილია, როგორც იასე ცინცაძის სიგელი, რომელშიც ნახსენებია ბეჟიტა ბერიძე (ბაქრაძე, 1987:33).

ბერიძეები საციციანოში ციციშვილების აზნაურები იყვნენ. 1411 წლის დოკუმენტში ქართლში იხსენიება დავით ბერიძე.

1448 წელს ალექსანდრე მეფის მიერ სიაომ ფალავანდიშვილისათვის მიცემულ ქონების ბოძების წიგნში სხვებთან ერთად მოწმედ ბერიძეცაა დასახელებული. დემეტრე ბერიძე მოწმედ გვხვდება იმავე ალექსანდრე მეფის მიერ 1484-1510 წლებში კაციბერ თოფურბისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში. დაუთა ბერიძე არის მოწმე გიორგი სააკაძის მიერ ფარსადან ჯავახიშვილისაგან ყმა მამულის ნასყიდობის წიგნში. ქართლში ციციშვილის აზნაურ ბერიძეს 1578-1675 წლებში ჰყოლია სამი კომლი ყმა მაწლეთსა და ხამლეთში. ბერიძეები ქართლში მხოლოდ ციციშვილების აზნაურები არ იყვნენ, ისინი ირიცხებოდნენ საამილახვროს აზნაურებშიც (ახუაშვილი 1997:48).

ბერიძეთა გვარი იხსენიება 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“ (თაყაიშვილი, 1907: 127-207).

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობას ორგანიზებას უწევდა მემედ-ბეგ ჩახალოღლი- ბერიძე, რომელიც იყო სოფელ ზესოფლიდან (ქედის მუნიციპალიტეტი). მემედ ბეგი ჩახალოღლი იყო და ჭროლა და წვრილი თვალების გამო ეწოდა ჩახალი. ის იყო სელიმ ხიმშიაშვილის თანამებრძოლი და თანამედროვე. სამი ძმა ყოფილა. მემედ-ბეგ ჩახალოღლი ბაირახტარის სახელითაა ცნობილი. ჩახალოღლის 100 კაციან რაზმს კავშირი ჰქონია არა მარტო აჭარაში, არამედ სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში (ახვლედიანი, 1970:160).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში „ქვედა-აჭარაში“ პირვანდელი სახით დარჩენილ გვარებს შორის თედო სახოკიას შვილებილ მასალებში დასტურდება სამი ბერ - ძირიანი გვარი: ბერიძე, კახაბერიძე, კიბორიძე. თ. სახოკია ბერიძეების საგვარეულოდან ოთხ წარმომადგენელს ახსენებს: ზემო აჭარაში ბრძენ კაცად ცნობილ სულეიმან ბერიძეს, რომელიც ზორტიყელიდან ღორჯომამდე დაემგზავრა. ხულოდან ფურტიოსაკენ იუსუფ ბერიძემ გააცილა; ხულოში ნური ბერიძემ უმასპინძლა; ოლად-

აურში და სარიჩაირის საზაფხულო სამოვრებზე მას თან ახლდა ალექსანდრე ბერიძე (სახოკია, 1985: 209, 212, 251, 280).

ზ. ჭიჭინაძე ბერიძეების საგვარეულოდან ასახელებს სულიმან ბერიძეს და ნური ეფენდი ბერიძეს (ჭიჭინაძე, 1913: 177, 199, 2019).

1922 წლის საბჭოთა აღწერის მასალებში (აცსა; ფ. 178; აღ 1; საქ. 29; # 14, გვ. 187-188) ბერიძე ფიქსირდება აჭარის სხვადასხვა სოფლებში. ქედაში, ცხმორისსა და კოკოტაურში წონიარისი, მერისი, გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სილიბაური, სიხალიძეები, აქუცა, შუახევი, ჭვანა (ბარამიძე, 2021: 98).

დასახელებულ მასალებში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია ბერიძე. 2014 წლის აღწერის მიხედვით აჭარაში 3969 ბერიძე ცხოვრობს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდებარეობდა სოფელი ბერიეთი, რომლის სახელწოდება მესხეთიდან იძულებით გადასახლებულ ბერიძეების გვარს უკავშირდება. ნასოფლარში არის მცირე ზომის ბერიეთის ეკლესიის ნანგრევი, სადაც 2 სექტემბერს, წმინდა ელიას ხსენების დღეს იმართება ტრადიციული დღესასწაული (ბერიეთი; ბაღდათის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლები).

ამჟამად ბერიძეები ცხოვრობენ: ხულოს მუნიციპალიტეტი - აგარა, ახალშენი, ბაკო, დანისპარაული. დეკანაშვილები, გორგაძეები, გურძაული, დიაკონიძეები, დიოკნისი, ვაშაყმაძეები, ვაშლოვანი, ვერნები, იაკობიძეები, ლაბაიძეები, ბოძაური, კვატია, მეკვიძეები, მერჩხეთი, მეხალაშვილები, მინთაძეები, მთისუბანი, პაქსაძეები, რაქვთა, რიყეთი, საციხური, სტეფანაშვილები, ტუნაძეები, ქურდული, ღორჯომი, ქედლები, ყიშლა ღურტა, ძირკვაძეები, წაბლანა, წინწკალაშვილები, ჭახაური (ჭახავრი), ჭერი, ხიხაძირი, ხულო....

შუახევის მუნიციპალიტეტი - ბარათაული, ბუთურაული, ბრილი, გომარდული, გორგივლი, იაკობაური, დაბაძველი, ვანი, დარჩიძეები, ინწირვეთი, ლაკლაკეთი, ლომანაური, ოქროპილ-

აური, ნუნია, ნაღვარევი, ნიგაზეული, ფურტო, სამოლეთი, სხეფი, ტბეთი, მოფრინეთი, ქანივრი, ჩანჩხალო, ცივაძეები, ჯაბნიძეები, ოლადაური, პაპოშვილები, მახალაკიძეები, ტომაშეთი, ტაკიძეები, ცხმელისი, შუახევი, ჭვანა,ჭალა.ხაბელაშვილები...

ქედის მუნიციპალიტეტი - აბუქეთა, არსენაული, აქუცა, ახო, ქვედა ბზუბზუ, ბალაძეები, გეგელიძეები, გობრონეთი, დანდალო, ვაიო, ვარჯანისი, ზენდიდი, ზესოფელი, ზვარე, ზუნდაგი, კანტაური, კვამტა, კოკოტაური, კოლოტაური, კორომხეთი, მახუნცეთი, მეძიბნა, მილისი, ორცვა, პირველი მაისი, სიხალიძეები, ტაკიძეები, ტიბეთა, ქედა, ცხემნა, შევაბური, ცხმორისი, ხუნკუდა, ძენწმანი, წონიარისი, ჭინკაძეები, ჯალაბაშვილები...

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი -აგარა, ახალშენი, განთიადი, ერგე, ვარშალომიძეები, ზანაქიძეები, თხილნარი, თოდოგაური, კაპნისთავი, კახაბერი, კიბე, კირნათი, მარადიდი, მასაურა, მაჭახლისპირი, მახვილაური, მახინჯაური, მახო, მეჯინისწყალი, მინდა, მირვეთი, მოსიაშვილები, მწვანე კონცხი, ორთაბათუმი, სალიბაური, სამება, სატეხია, სიმონეთი, ფერია, ურეხი, ცივაძეები, ჩელტა, წინსვლა, ყოროლისთავი, შარაბიძეები, შავლიძეები, ჭარნალი, ჯოჭო, ხელვაჩაური...

ქობულეთის მუნიციპალიტეტი - ალამბარი, აჭყვა, აჭყვისთავი, ბობოყვათი, ბუკნარი, გოგმაჩაური, დაგვა, ზენითი, კვირიკე, ლელვა, მუხაესტატე, ნაკაიძეები,ოჩხამური, სახალვაშო, ქობულეთი, შუაღელე, ჩაქვი, ჩაისუბანი, ციხისძირი, ცეცხლაური, წყავროკა, ჭახათი, ჯიხანჯური...

აჭარაში მოსახლე ბერ-ძირიანი გვარებია:

ღოღობერიძე - ანგისა, არსენაული, ახო, ბათუმი, ბობოყვათი, ბზუბზუ, გონიო, გულები, ერგე, ვარშალომიძეები, ვარჯანისი, ზანაქიძეები, თხილნარი, კახაბერი, მახვილაური, მახუნცეთი, მეჯინისწყალი, მწვანე კონცხი, ორცვა, პირველი მაისი, სალიბაური, ურეხი, უჩხითი, ფერია, ქედა, ქოსოფელი, შავლი-

ძეები, შარაბიძეები, ჩაისუბანი, ძენწმანი, ჭარნალი, ხელვაჩაური, ჯოჭო ...

ბერსელაძე - ბათუმი, გვარა, ნადვარევი, ყოროლისთავი, ჩაისუბანი, ხელვაჩაური... ბერსენაძე - ბათუმი, ერგე, ურები... ბურკვაძე - ბათუმი. ეს გვარი წარმოშობით უნდა იყოს ბერკვაძე. გვიბირიძე (გვიბერიძე) - ბათუმი, სალიბარაუსი. გულაბერიძე-ახალსოფელი, ბათუმი, თხილნარი, კახაბერი, პირველი მაისი, ჩაქვი ხელვაჩაური... კობიძე-ბათუმი, ბუკნარი, ვაშლოვანი, ქობულეთი... ჯანბერიძე-ბათუმი... ჯოხთაბერიძე- ბათუმი.

ბერ-კომპონენტისანი გვარების რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოიყოს:

1. მარტივფუძიანი (ბერ+ ძე) გვარები: ბერიძე, ბერასძე (ბერ-ას-ძე). გვარები გვავარაუდებინებს პირსახელს: ბერი, ბერა.
2. მარტივფუძიანი -ელ კნინობითის მაწარმოებელი აფიქსით წარმოქმნილი სახელებისაგან ნაწარმოები გვარები: ბერსელაძე, ბერსენაძე. გვარები გვავარაუდებინებს პირსახელს ბერ-ს-ელ-ა →ბერ-ს-ენ-ა. ენ←ელ მონაცვლეობა. ს- მიცემითი ბრუნვის ნიშანი.
3. ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული შემოკლებული, მარტივფუძიანი გვარები: ბერუკი, ბერული, რომელიც გვავარაუდებინებს გვარებს ბერუკიშვილი, ბერუკაძე, ბერულაშვილი, ბერულავა. გვარები ნაწარმოებია საკუთარი სახელებისაგან: ბერუკი (←ბერ+უკ-ი), ბერული (←ბერ-ულ-ი).
4. რთულ ფუძიან გვარებში ბერ- კომპონენტი პირველ ადგილზეა:ბერკვაძე (← ბერ+კვ+ ძე)
5. რთულფუძიან გვარებში -ბერ- კომპონენტი მეორე ადგილზეა: ლოღობერიძე (←ლოღო + ბერი-ძე), კახაბერისძე//კახაბერიძე//კახაბერი (←კახა+ბერი-ძე), ჯანბერიძე (←ჯან+

ბერი-ძე), ჯოხთაბერიძე (←ჯოხთა+ბერი-ძე), გულაბერიძე (←გულა+ ბერიძე), გოგაბერუილი (←გოგა+ ბერ-ულ-ი), გოგაბერიძე (←გოგა+ ბერი-ძე) წითელბერიძე (წითელ+ ბერი-ძე)... გვარები გვავარაუდებინებს პირსახელებს: კახა, ღოღო, ჯანო, ჯოხთა, გულა, გოგა, წითელი ... აქედან ნაწარმოებია გვარები კახაძე, კახიშვილი, ჯოხთაძე, გულაძე, გელაძე, გოგაძე, წითლაძე...

6. კომპოზიტურ გვარსახელში ბერ-ი წარმოდგენილია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით:

ა) ი←ე მონაცვლეობით: გვიბირიძე (←გვიბერიძე)...

ბ) უ←ე: ბურკვაძე (←ბერკვაძე)...

გ) ო ←ე: კიბორიძე (←კი+ ბერიძე). მსგავსი წარმოების გვარია კობერიძე.

დასკვნა

საანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბერი ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია, მისგან საწარმოო საშუალებებითა და კომპოზიტური სიტყვათშეერთებით აჭარულში მიღებულია მრავალრიცხოვანი საზოგადო და საკუთარი სახელები, საინტერესოა, ბერ-ძირის სემანტიკური მრავალფეროვნება და ადგილის, ციხის, პირსახელებისა და გვარსახელების წარმოების მოდელი. ბერ- ძირი საზოგადო სახელებში ხშირად დღევანდელი გაგებით ასაკის, მოხუცებულობის, ხნოვანობის გამოხატველია, ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელებში უმეტეს შემთხვევაში ბერ-ი გამოხატავს ბერ-მონაზვნის, საეკლესიო პირის სემანტიკას (ბერთა, ბერიეთი ..), თუმცა სახნავ-სათესი ადგილის სახელწოდებებში (ბერიმიწები, ბერიყანა, ბერი კიტრი ...) სიბერის, ხნოვანობის გამოხატველი უნდა იყოს.

ბერ- ელემენტის გვარების სემანტიკური და ფონეტიკური ცვალებადობა გვიმტკიცებს, რომ ბერი თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა. საზოგადო სახელიდან

აფიქსაციის გარეშე ან აფიქსების საშუალებით საზოგადო სახელი გადაიქცა პირსახელად ან პირსახელი ერთი ლექსიკურ-სემანტიკური და ფუნქციური ჯგუფიდან გვარსახელში გადავიდა (ბერიძე, ბერსენაძე, ბერსელაძე (ბერსელი), ბერული, ბერიშვილი, კახაბერიძე, გულაბერიძე, დოლაბერიძე, ჯოხთაბერიძე, ჯანბერიძე, ლოლობერიძე ...). საკუთარი სახელის მამრობითი სქესის, ძის, შვილის ჩვენება განსაზღვრავს გვარსახელებში დადასტურებული ბერ-ძირის სემანტიკას. ამგვარი ტენდენცია საერთო ქართველური ენობრივი მოვლენაა და დღესაც შეინიშნება ქართული ენის დიალექტებში.

ბერ-ძირიანი გვარსახელების ლოკალიზაციის დაზუსტება ურთულესი პროცესია და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ენათმეცნიერული მონაცემების ღრმად შესწავლასა და თანამედროვეობასთან მიმართებაში ახლებურად გააზრებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ანთელავა, ნ. (2017). *კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალი*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოალბომი გამოსაცემად მოამზადეს: ზაზა შაშიკაძემ და ამირან მახარაძემ*. (2011). თბილისი.
- ახვლედიანი, ა. (1970). *აჭარის საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერება*. ბათუმი.
- ახუაშვილი, ი. (2005). *ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის*. II. თბილისი.
- ბარამიძე, ე. (2021). *ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ზემო აჭარის მაგალითზე)* (სადი-სერტაციო ნაშრომი). ბათუმი.

- ბარდაველიძე, ვ. (1947). *ეთნოგრაფიული ჩანაწერები მეცნიერის არქივიდან (ქართლი)*. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის არქივი.
- ბაქრაძე, დ. (1987). *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში*. ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“.
- ბერიძე, ე. (2009). *ნოვალი. ისტორიულ-ეთნოლოგიური და ლინგვისტური (ტოპონიმური) ასპექტები*. თბილისი: გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ბეროზაშვილი, თ. მ. (1981). *ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი.
- ბიწაძე, ს. (2015). *რელიგიური დღესასწაული ხევში*. თბილისი.
- ბროსე, მ. (1998). *საქართველოს ისტორია*. ბათუმი.
- გოგიტიძე, ს. (2002). *აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის*. ბათუმი: გამომცემლობა: „ბათუმის უნივერსიტეტი“.
- დვალი, თ. (2019). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. თბილისი.
- ერიაშვილი, ჟ. (1987). ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1*, 124.
- თაყაიშვილი, ე. (1907). *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი*. ტფილისი: გამომცემლობა „ელექტრონული სტამბა წიგნების ქართველთა ამხანაგობისა“.
- თოფჩიშვილი, რ. (2000). ქართული ანთროპონიული მოდელი წარსულში, აწყმოსა და მომავალში. *ქართველური მემკვიდრეობა. IV*, 178.
- თოფჩიშვილი, რ. (2010). *სახელების ეთნოლოგია და ისტორია*. თბილისი.
- კახიძე, ნ. (1974). *მაჭახლის ხეობა*, ბათუმი.
- კახიძე, ნ. (2013). *„ეტრატებზე ამეტყველებული ისტორია“*. ტბეთის სულთა მატთანე. *XII-XVII საუკუნეები. სამხრეთ-*

დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის წყარო.

- კობერიძე, მ. (2023 ა). ალექსანდრე ხახანაშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა. *ისტორია. არქეოლოგია. ეთნოგრაფია. VII.*, 252-260.
- კობერიძე, მ. (2023 ბ). „ბერად დაყენების“ რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოში. *ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია. X.*, 252-260.
- მაისურაძე, ი. (1979). ბერძინი ქართულ სახელ-გვარებში. *მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 1.22.*
- მაკალათია, ს. (1934). *ხვეი*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- მენაბდე, ლ. (1962). *ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ.1. ნაკვთ. 2.* თბილისი.
- მესხიშვილი, მ. (2006). *ქართლური ლექსიკონი (მასალები)*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ნოლაიძელი, ნ. (2007.). „სიტყვა სიტყვის მაკინარია“ (ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტში). *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. IX.*, 3-40.
- ნოლაიძელი, ნ. (2013). *ლექსიკური ძიებანი. აჭარული დიალექტის ლექსიკური მასალების მიხედვით*. ბათუმი: გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ორბელიანი, ს.ს. (1991). *ლექსიკონი ქართული. I*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- სახოკია, თ. (1985). *მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი*. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
- სილაგაძე, ა. თოთაძე, ა. (1997). *გვარ-სახელები*. თბილისი.
- სიხარულიძე, ი. (1958). *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. წიგნი 1*. ბათუმი: „სახელმწიფო გამომცემლობა“.
- სიხარულიძე, ი. (1988). *შავშეთ-იმერხევი. საისტორიო გეოგრაფიის მასალები*. ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“.
- სიხარულიძე, ი. (1992, 25 ივლისი -). კახაბერი. *გაზეთი „აჭარა“*.

- სურგულაძე, ი. (1989). ერთი საქორწილო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1, 40, 41.
- ტბეთის სულთა მატანე. (1977). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ქართლის ცხოვრება. (1959). ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (2008). I. რედაქტორი პროფ. ა. არაბული. თბილისი.
- ღუდუშაური, ი. (2011). *მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი.
- ცეცხლაძე, ნ. (2000). *შავშეთ-იმერხევის ტოპონიმები*. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“.
- ცეცხლაძე, ნ. (2000). *შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია*. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“.
- ჭიჭინაძე, ზ. (1913). *მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*. ტფილისი: გამომცემლობა „შრომა“.
- ჭიჭინაძე, ზ. (1927). *აჭარის ისტორიის კონსპექტი*. ბათუმი.
- ჭუმბურიძე, ზ. (1987). *დედაენა ქართული*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- ხახანაშვილი, ა. (1988). მგზავრის დღიურიდან. *ივერია* # 181, 2-3.
- ჯავახიშვილი, ი. (1928). *ქართული სამართლის ისტორია. II. ნაკვთი 2*. ტფილისი: გამომცემლობა „ტფილისის უნივერსიტეტი“.
- ჯავახიშვილი, ი. (1937). *ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ქართველი ერის ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა: „სსრ მეცნიერებათა აკადემია“.

ჯიქია, მ. (2013). „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ ანთროპონიმია. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*. VII, 66.

Март, Н. (1935.). *Избранные работы. I*. Ленинград.
სსს ცსა; ფ. # 178; ა. # 8.Перепись сельского и городского населения по полу и грамотностиб 1922 г.

ბაღდათის რაიონის ისტორიული ძეგლები:http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=350%3A2010-03-30-22-55-20&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&Itemid=2&lang=ru. (10.10. 2024. 10: 55).

ბერიეთის ეკლესია: ბერიეთი: <https://georgiantravelguide.com/ka/berieti> (10.10. 2024. 10: 39).

References:

abuladze, i. (1973). dzveli kartuli enis leksik'oni. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.

antelava, n. (2017). k'avk'asiis khalkhta mitebi da rit'uali. Tbilisi: gamomtsemloba „universali“.

ach'aris livis vrtseli da mok'le davtrebi.osmaluri t'ekst'i, targmani, gamok'vleva, k'oment'arebi da pot'oalbomi gamosatsemad moamzades: zaza shashik'adzem da amiran makharadzem. (2011). Tbilisi.

akhvlediani, a. (1970). ach'aris sagmiro-saist'orio zep'irsit'qiereba. Batumi.

akhuashvili, i. (2005). kartuli gvar-sakhelebi. masalebi kartuli gvarebis ist'oriisatvis. II. Tbilisi.

baramidze, e. (2021). antrop'onimia samqaros enobriv suratshi da misi dinamik'a (zemo ach'aris magalitze) (sadisert'atsio nashromi). Batumi.

- bardavelidze, v. (1947). etnograpiuli chანats'erebi metsnieri's arkividan (kartli). Tbilisi: iv. javakhishvilis sakhelobis ist'oriisa da etnograpiis arkivi.
- bakradze, d. (1987). arkeologiuri mogzauroba guriasa da ach'arashi. Batumi: „sabch'ota ach'ara“.
- beridze, e. (2009). nogali. ist'oriul-etnologiuri da lingvist'uri (t'op'onimik'uri) asp'ekt'ebi. Tbilisi: gamomtsemloba: „shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'i“.
- berozashvili, t. m. (1981). kartluri dialekt'is leksik'oni (masalebi). Tbilisi: -.
- bits'adze, s. (2015). religiuri dghesasts'auli khevshi. Tbilisi: -.
- brose, m. (1998). sakartvelos ist'oria. Batumi.
- gogit'idze, s. (2002). ach'aris t'erit'oriaze mosakhle t'omis vinaobis sak'itkhisatvis. Batumi: gamomtsemloba: „batumis universit'et'i“.
- dvali, t. (2019). sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeგlta aghts'eriloba. Tbilisi.
- eriyashvili, zh. (1987). beris inst'it'ut'is sak'itkhisatvis sakartveloshi. *sakartvelos ssr metsnierebata matsne. ist'oriis, arkeologiis, etnologiisa da khelovnebis ist'oriis seria. 1., 124.*
- taqaishvili, e. (1907). *arkheologiuri mogzaurobani da shenishvnani. ts'igni p'irveli.* T'pilis: gamomtsemloba „elekt'ronuli st'amba ts'ignebis kartvelt amkhanagobisa“.
- topchishvili, r. (2000). kartuli antrop'oniuli modeli ts'arsulshi, ats'qmosa da momavalshi. *kartveluri memk'vidreoba. IV., 178.*
- topchishvili, r. (2010). *sakhelebis etnologia da ist'oria.* Tbilisi.
- k'akhidze, n. (1974). *mach'akhlis kheoba.* Batumi.
- k'akhidze, n. (2013). „*et'rat'ebze amet'qvelebuli ist'oria*“. *t'betis sulta mat'iane. XII-XVII sauk'uneebi. samkhret-dasavlet sakartvelos ist'oriul-etnologiuri shests'avlis ts'qaro.*

- k'oberidze, m. (2023 a). aleksandre khakhanashvilis etnograpiuli memk'vidreoba. *ist'oria. arkeologia. etnografia*. VII., 252-260.
- k'oberidze, m. (2023 b). „berad daqenebis" rit'uali aghmosavlet sakartveloshi. *ist'oria, arkeologia, etnografia*. X., 252-260.
- maisuradze, i. (1979). ber-dziri kartul sakhel-gvarebshi. *matsne. enisa da lit'erat'uris seria*. 1.22.
- mak'alatia, s. (1934). *khevi*. Tbilisi: gamomtsemloba „art'anuji".
- menabde, l. (1962). *dzveli kartuli mts'erlobis k'erebi*. t'1. nak'vt. 2. Tbilisi.
- meskhishvili, m. (2006). *kartluri leksik'oni (masalebi)*. Tbilisi: gamomtsemloba „universal".
- noghaideli, n. (2007.). „sit'qva sit'qvis mak'inaria“ (khat'ovan sit'qva-tkmata nimushebi ach'arul dialekt'shi) . *ach'aruli dialekt'is dargobrivi leksik'a*. IX., 3-40.
- noghaideli, n. (2013). *leksik'uri dziebani. ach'aruli dialekt'is leksik'uri masalebis mikhedvit*. Batumi: gamomtsemloba: shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'i.
- orbekiani, s.s. (1991). *leksik'oni kartuli*. I. Tbilisi: gamomtsemloba „merani“.
- sakhok'ia, t. (1985). *mogzaurobani. guria, ach'ara, samurzaqano, apkhazeti*. Batumi: gamomtsemloba „sabch'ota ach'ara“.
- silagadze, a. totadze, a. (1997). *gvar-sakhelebi*. Tbilisi.
- sikharulidze, i. (1958). *samkhret-dasavlet sakartvelos t'op'onimik'a*. ts'igni 1. Batumi: sakhelmts'ipo gamomtsemloba.
- sikharulidze, i. (1988). *shavshet-imerkhevi. saist'orio geograpiis masalebi*. Batumi: „sabch'ota ach'ara“.

- sikharulidze, i. (1992, 25 ivlisi -). k'akhaber. *gazeti „ach'ara“*.
- surguladze, i. (1989). erti sakorts'ilo ts'esiss mitosuri da sotsialuri bunebisatvis. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis matsnee. *ist'oriis, arkeologiis, etnologiisa da khelovnebis ist'oriis seria, 1,40,41.*
- t'betis sulta mat'iane.* (1977). t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva da sadzieblebi daurto tina enukidzem. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- kartlis tskhovreba.* (1959). t'ekst'i dadgenilia qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit. s. qaukhchishvilis mier. t'omi II. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni.* (2008). I. redakt'ori p'rop.a. arabuli. Tbilisi.
- ghudushauri, i. (2011). *mokheur sit'qvata leksik'oni.* Tbilisi.
- tsetskhladze, n. (2000). *shavshet-imerkhevis t'op'onimebi.* Batumi: gamomtsemloba „ach'ara“.
- tsetskhladze, n. (2000). *shavshet-imerkhevis t'op'onimia.* Batumi: gamomtsemloba „ach'ara“.
- ch'ich'inadze, z. (1913). *musulmani kartveloba da mati soplebi sakartveloshi.* T'pilisi: gamomtsemloba „shroma“.
- ch'ich'inadze, z. (1927). *ach'aris ist'oriis k'onsp'ekt'i.* Batumi.
- ch'umburidze, z. (1987). *dedaena kartuli.* Tbilisi: gamomtsemloba „nak'aduli“.
- khakhanashvili, a. (1988). *mgzavris dghiuridan.* iveria # 181, 2-3.
- javakhishvili, i. (1928). *kartuli samartlis ist'oria.* II. nak'vti 2. T'pilisi: gamomtsemloba „t'pilisis universit'et'i“.

javakhishvili, i. (1937). kartuli da k'avk'asiuri enebis tavadp'irveli buneba da natesaoba. *kartveli eris ist'oria*. Tbilisi: gamomtsemloba: „ssr metsnieebata ak'ademia“.

jikia, m. (2013). „gurjist'anis vilaetis didi davtris“ antrop'onimia. *akhlo aghmosavleti da sakartvelo*. VII, 66.

Март, Н. (1935.). *Избранные работы. I*. Ленинград.

ss tssa; p. # 178; a. # 8.Перепись сельского и городского населения по полу и грамотности. 1922 г.

baghdatis raionis ist'oriuli dzeglebi:http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=350%3A2010-03-30-22-55-20&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&Itemid=2&lang=ru. (10.10. 2024. 10: 55).

berietis ek'elsia: berieti: <https://georgiantravelguide.com/ka/berieti> (10.10. 2024. 10: 39).